ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-69. 69240926**
თარიღი:**01/04/2024**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ დანართის პირველი მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი.1 დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტები დანართის შესაბამისად (თან ერთვი).

მუხლი 2. განაწილებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა დასახლებების მიხედვით დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 3 განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი